ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერ-ᲒᲝᲡ ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლ-ᲨᲘ № 8.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერ-ᲒᲝᲡ ქუჩაზე, Ივ. Ამირ ღოვის სახ-ᲚᲘᲗᲘ, № 8.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ-ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ მიიღება კანტო-ᲠᲘ, ბარეშეᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ: Въ Типографію газ. „Дроэба".

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲬᲚᲘᲡ-ᲬᲚᲘᲡᲐ—3 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და ᲗᲘᲗᲝᲗᲘᲡ—2 მან., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ, 14 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲑᲣᲨᲘᲜ სა-ᲛᲔᲤᲝᲡ ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲐᲠᲝᲚᲡ ᲐᲚᲤᲝᲜᲡᲡ რე-ᲒᲐᲚᲘᲐᲡ ᲔᲡᲠᲝᲚᲚᲔᲡ, ᲙᲐᲠᲝᲚᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲘᲛᲬᲣᲗᲘᲡᲐᲕᲔ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ; ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲓᲣᲙᲐᲡᲘ ᲔᲐᲠᲝᲡᲐᲜᲘ, ᲑᲝᲭᲙᲘᲡ ᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ; [ᲒᲐᲢᲧᲓᲐ ᲗᲣᲗᲔᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ.

ᲕᲔᲜᲐ, 14 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲐᲥ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲝᲢᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐ ᲡᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲔᲚᲕᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲞᲐᲜᲡᲚᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲬᲔᲠᲝᲡᲝ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲞᲝᲠᲢᲐᲛ ᲛᲘᲙᲐᲚᲐᲡᲐ ᲚᲝᲑᲐᲜᲝᲒ-ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲤᲔᲗᲐᲛᲐ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲝᲜ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ. ᲜᲝᲢᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲠᲘᲐ ᲛᲐᲖᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲘᲬᲕᲔᲔᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲝᲮᲠᲔᲑᲐᲡ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲘᲐ. ᲞᲝᲠᲢᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲓᲐᲐᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲡ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲫᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲡᲐᲛᲬᲘᲐᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲒᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲧᲝ, ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲠᲘᲡᲝ. ᲮᲐᲘᲑᲔᲠᲘᲡ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ. ᲖᲝ�გᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲪ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ „ᲛᲐᲚᲐᲑᲐᲠᲘᲜᲘ" ᲯᲐᲠᲘᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲘᲗ.

ᲑᲝᲛᲑᲔᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲐᲕᲒᲐᲜᲘᲡᲢᲐ-ᲛᲘᲠᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲑᲘ ᲨᲔᲣᲨᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲡᲐᲮᲝᲖᲒᲐᲓᲝᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲝᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲛᲐ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲡ ᲛᲙᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ. ᲞᲝᲠᲢᲐ ᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲖᲔᲓ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲡᲝᲤᲘᲐᲓᲐᲛ ᲛᲝᲚᲡᲣᲚᲛᲐ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲥᲪᲘᲔᲡ ᲡᲝᲤ. ᲖᲝᲜᲘᲙᲔᲕᲘ (ᲠᲣᲛᲔᲚᲘᲐᲨᲘ) ᲓᲐ ᲔᲥᲥᲡᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ; ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲤᲣᲭᲔᲜ; ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲙᲝᲕᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲨᲔᲣᲠᲝᲕᲘᲚᲜᲘ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘ:		მან.	კაპ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ	—	97	—12
ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲘ	— — — —	95	—62
ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲘ	— — — —	95	—50
ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲘ	— — — —	95	—50
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ	— —	92	—62
ᲝᲥᲠᲝ, 1/2 ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ	—	8	—26
ᲗᲤᲘᲚ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	— — „— „		

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘ:

		მან.	კაპ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	— —	234	—50
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	— — —	229	—75

1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ	— —	24 5/6	„ ᲞᲔᲜᲡᲘ
ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ	— —	„ —	„ ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ	— —	—204—	„ ᲰᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲞᲐᲠᲘᲟᲘ	— —	—251—50	ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲣᲤ. ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲡᲐᲮᲝᲖᲒᲐᲓᲝᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲝᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲛᲐ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲡ ᲛᲙᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ. ᲞᲝᲠᲢᲐ ᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲖᲔᲓ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲡᲐᲛᲬᲘᲐᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲒᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲧᲝ, ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲠᲘᲡᲝ. ᲮᲐᲘᲑᲔᲠᲘᲡ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ. ᲖᲝ�გᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲪ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ „ᲛᲐᲚᲐᲑᲐᲠᲘᲜᲘ" ᲯᲐᲠᲘᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲘᲗ.

ᲑᲝᲛᲑᲔᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲐᲕᲒᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲠᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲑᲘ ᲨᲔᲣᲨᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲡᲐᲮᲝᲖᲒᲐᲓᲝᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲝᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲛᲐ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲡ ᲛᲙᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ. ᲞᲝᲠᲢᲐ ᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲖᲔᲓ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲡᲝᲤᲘᲐᲓᲐᲛ ᲛᲝᲚᲡᲣᲚᲛᲐ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲥᲪᲘᲔᲡ ᲡᲝᲤ. ᲖᲝᲜᲘᲙᲔᲕᲘ (ᲠᲣᲛᲔᲚᲘᲐᲨᲘ) ᲓᲐ ᲔᲥᲥᲡᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ; ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲤᲣᲭᲔᲜ; ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲙᲝᲕᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲨᲔᲣᲠᲝᲕᲘᲚᲜᲘ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘ:		მან.	კაპ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ	—	97	—12
ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲘ	— — — —	95	—62
ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲘ	— — — —	95	—50
ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲘ	— — — —	95	—50
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ	— —	92	—62
ᲝᲥᲠᲝ, 1/2 ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ	—	8	—26
ᲗᲤᲘᲚ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	— — „— „		

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘ:

		მან.	კაპ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	— —	234	—50
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	— — —	229	—75

1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ	— —	24 5/6	„ ᲞᲔᲜᲡᲘ
ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ	— —	„ —	„ ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ	— —	—204—	„ ᲰᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲞᲐᲠᲘᲟᲘ	— —	—251—50	ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲣᲤ. ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲡᲐᲮᲝᲖᲒᲐᲓᲝᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲝᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲘᲛ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" №№ 132, 146 ᲓᲐ 166-ᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲜᲘ. ᲣᲤ. ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ-ᲬᲐᲡᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡ ᲒᲕᲘᲩᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ (1535 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ) ᲫᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲘᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ" ᲘᲛ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲗᲝ.

ᲐᲛ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 12-ᲡᲐ ᲓᲐ 14-Ს „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲙᲔᲚᲚᲔᲕᲔᲚᲐᲓ. ᲘᲛᲐᲜ ᲣᲩᲕᲔᲜᲐ ᲠᲐᲪ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲠᲐᲛᲓᲠᲝᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲬᲛᲐᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲡ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲤ. ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲛᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲘᲛᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲣᲤ. „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲛᲔ ᲐᲠᲐ-ᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘᲝ ᲓᲐ ᲒᲣᲗᲮᲝᲕᲗ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲞᲝᲗᲝ.

ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲣᲤ. ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲛᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲕᲔ ᲣᲙᲐᲜ ᲬᲐᲘᲦᲝ ᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲞᲝᲗᲔᲚᲐᲓ.

*** ᲠᲣᲡᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲥᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲝ-ᲤᲠᲐᲜᲙᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲛ ᲛᲘᲓᲘᲡᲝ ᲓᲐᲛᲝᲥᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲢᲐᲘᲜᲘ ᲡᲝᲕᲔᲢᲜᲘᲙᲘ ᲙᲐᲩᲐ

ამ საგნისავე შესახებ გაზ. „გოლოსი“ ამბობს, რომ პორტო-ფრანკო ბათუმში იმ წესზე იქნება გამართული, როგორც აღრე ოდესსაში იყოვო.

*** პეტერბურღის გაზეთი („რუსის სიმართლე“) გვაცნობებს, რომ იმ რკინის გზას გარდა, რომლითაც ბათუმი იქნება შეერთებული ფოთი-თფილისის რკინის გზასთან, მთავრობას კიდევ სხვა რკინის გზების გაყვანის განზრახვა აქვსო; ამბობენ, რომ ერთი რკინის გზა ბათუმიდამ ყარსამდინ უნდა გაიდესო და მეორეც ყარსიდამ ერევნამდინ.

ყველა ეს გზები, ხსენებული გაზეთის სიტყვით, უნდა გაკეთდეს იმ საშუალებით, რომელიც სამხედრო სამინისტროსთვის არის დანიშნული.

«დროების» კორრესპონდენცია

ძველი-სენაკი, 6 ოქტომბერს. უკაცრავათ, რომ აქამდინ საგაზეთო ამბავი ვერა მოგწერეთ-რა; მაგრამ რა ვქნა! თევზისა არ იყოს: „სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსე“.

რომ მეც ამნაირ მდგომარეობაში არ ვიყო, რომ მეც ირგვლივ იმ ნაირი წრე არ მერტყას, რომელიც მუდამ სადგისით არ მჩხვლეტდეს და სულ იმას არ მექადდეს: „ჰა, არა დასწერო-რა გაზეთში, თორემ ასე-და-ასე გიზამო“, რა გამაჩერებდა აქამდინ ან მე, ან ჩემ კალამს?! ამ ნაირ მდგომარეობის პატრონს კი უმართებს სიჩუმე; მაგრამ ველარ მოითმინა ამ ოხერმა გულმა, ველარ შესძლო ამდენი სიჩუმე და სულ ნიადაგ სხვათა ფეხ-ქვეშ გდება.

ვინ ოხერი ხმას ამოიღებდა ან იტყოდა რასმე, რომ იმისთანა უწესოებას და ბოროტებას არ ვხედავდე, რომელიც, არამც თუ მე, არამედ ყოველ სინიდისიან კაცს გულს არ უკლავდეს.

მე ბევრი მეგრელი გოგოები მინახავან, უფ. რედაქტორო, თქვენი ქალაქის ზოგიერთ სახლის კუთხეებში მიყუჟეილი იმისთანა სახლებში, რომლებსაც სახელად საროსკიპო ჰქვიან. ნუ თუ იმ საცოდავებმა თითონ ისურვეს მაგნაირი ცხოვრება? არა, მერწმუნეთ; ამას დაგიმტკიცებთ შემდგომის მაგალითით, რომელიც მოხდა აქ ცოტა ხნის წინათ:

ს. ეკის საზოგადოების გლეხმა უტუია ადამიამ სთხოვა ამავე საზოგადოების მამასახლისს, რომ მას მიეცა მოწმობა ერთი ქალისათვის, ვითომც ის ნამდვილი ხსენებული ადამიას შვილი ყოფილიყოს. მამასახლისმა მსწრაფლ აღუსრულა თხოვნა გლეხს, მხოლოდ გასამსჯელოთ კი ერთი თუმანი გამოართვა.

გლეხმა ამ მოწმობით აიღო უეზდის სასამართლოდამ ბილეთი და დეემზადა ქალით თფილისისაკენ წასასვლელად. მაგრამ შემთხვევამ ქალაქს აღარ დასჯირა წასვლა. იარმუკობის დროს ძველ-სენაკში ადამიამ ეს ქ ა ლ ი ერთ მოქალაქეს, სახელდობრ ა ს ლ ა მ ა ზ ო ვ ს ა ს მ ა ნ ე თ ა დ მ ი ჰ ყ ი დ ა! თუმცა საწყალ გოგოს არ უნდოდა ამნაირ საუბედურო მახეში ჩავარდნა; მაგრამ მცბიერმა უტუიამ ისე შეუხვია თავი სხვა-და-სხვა ნუგეშებით და იმედებით, რომ საწყალი გოგოც დეემორჩილა თავის ბედს და გასწია იქ, სადაც მრავალი ამისთანა გამგზავრებულა აქედამ, ე. ი. დიდებულ თფილისში.

ვინ იცის რამდენი ამისთანა ბარბაროსობა ხდება ჩვენში, ჩვენივე სოფლის მოხელეების წყალობით. მაგრამ ვინ არის პატრონი, ვინ არის მოწყალე!

როგორც უმეტესი ნაწილი სამეგრელოისა, ეს ჩვენი პატარა ქალაქიც ძველი-სენაკი მშვენიერია თავის მდებარეობით და მიწა-წყლით. მაგრამ რაიცა შეეხება ამის ბინადარ საზოგადოებას, ამაზე კი რა მოგახსენოთ, რადაც ვერ მომწონს მათი ქცევა. ან რა მოსაწონია პლუტი კარტოჟნიკი და ჯიბის ოსტატი ხალხი. სწორეთ ამის მეტს ხეირიანს ვერას ნახავს აქ კაცის თვალი. გზაზე მიმავალმა დავინახე ერთი დუქნის წინ რამოდენიმე კარტის მოთამაშე მედუქნეები. გასართობლად მეც მიველი და დაუწყე ყურება; ერთმა მათგანმა დაარიგა ქაღალდი და ყველა მოთამაშეებს სამ-სამი კარტი შეხვდათ; მაგრამ უცხო კაცს რომ ამ მოთამაშეებისათვის შეეხედნა, სწორეთ აყვავებული შვინდი წარმოუდგებოდა თვალის წინ: ზოგი შავათ გამოიცქირება, ზოგს მიწის ფერი ადევს, ზოგი მოხარშულ კიბოსავით წითლდება, ყვითლდება და უკანკალებს ხელები, თითქო ყველა ციებას შეუპყრია. ბოლოს დარჩება ერთი მოგებული და ყველანი ერთხმად ყვირიან: „უ! დუ! ბუ! მოიგო, დედა, რა ფარა ახვეტა, შენი ჭირი მე“! და გააგრძობენ თამაშს.

აქ თურმე კარტის თამაში პირველი ხელობა, პირველი გილდიის ვაჭრობა ყოფილა.

სიძვირეს თქმა არ უნდა: ბევრი რო არ ჩამოვთვალოთ, ბევრი ლაპარაკით რომ თავი არ მოგაბეზროთ, ერთს ვიტყვი მაგალითად: გამომცხვარი სიმინდის მჭადი, რომელიც ყველგან და ყოველთვის ადვილი საშოვარია, ახლა გროვანქა შაურათ ისყიდება; სხვა ხორაგეულსაც ამის-და-გვარად მამასისხლად აფასებენ. . .

ჭიორელი მ.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

„რეიტერის სააგენტო“ შემდეგ ამბავს გვაცნობებს:

„სტამბოლში მცხოვრებმა ლაზებმა რუსის ელჩს თ. ლობანოვ-როსტოვსკის სთხოვეს, რომ მისცეს იმათ პასპორტები თავის ქვეყანაში დასაბრუნებელად.“

— ამავე სააგენტოს სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკმა ტელეგრაფით აცნობა თ. ლობანოვ-როსტოვსკის, იშუამდგომლოს ოსმალეთის მთავრობასთან, რომ ამან მიიღოს ჯეროვანი საშუალება და შეაჩეროს სომხები, რომლებიც მცირე აზიიდამ რუსეთში გადმოდიანო.

— აი ის ოთხი მუხლი ინგლისისაგან წარდგენილის მცირე აზიის რეფორმების პროექტისა, რომელნიც ოსმალეთის მთავრობამ უკვე მიიღო:

ა). მცირე აზიაში წესდება ჟანდარმის ჯარი, ქრისტიანებისა და მაჰმადიანებისაგან შემდგარი; ამ ჯარის უფროსებად ინგლისის აფიცრები იქნებიან.

ბ). უმთავრესს ქალაქებში მცირე აზიისა (ტრაპიზონში, არზრუმში, დიარბეკირში და სხვ.) დანიშნული იქნება სასამართლოები და ამ სასამართლოებში იქნება ერთი ინგლისელი მოსამართლე.

გ). ღუბერნატორი და ხარჯის ამკრები დაინიშნებიან ინგლისის ამორჩევით და დამტკიცებით; ღუბერნატორი ხუთის წლის ვადით იქნება.

დ). ათის-თავის მაგიერ ხალხს გადასახადი მამულის სივრცის და-გვარად გადახდება.

— „კელნის გაზეთს“ სწერენ არზრუმიდამ, რომ კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოკვლევა იმ უწესოებისა, რომელიც ჩაუდენიათ მაჰმადიანებსა და ქურთებს მცირე აზიაში, ამ მოკლე ხანში შეიკრიბება არზრუმში. ორი წევრი ამ კომისიისა ინგლისელები არიან.

განცხადებანი

ისყიდება

„კრებული“

1873 წლისა

ქუთაისში: კ მესხის წიგნის მაღაზიაში, კლუბს ქვეშ.

თფილისში: -გ ნაიკრაჩ წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკკლესიის სახლში.

ფასი: №№ 3, 4, 7, 8, 9-ის თითოსი ხუთ-ხუთი შაური; №№ 5 და 6 ორივესი ერთად ათი შაური; № 10—ორი შაური; №№ 1 და 2 ცალკ-ცალკე არ ისყიდება, და მთელის წლის ათი ნომერი ღირს ხუთ მანეთად.

(3—2)

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაცა **თამბაქო**, მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესი: ბაღერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 14 Октября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.